ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 25
28/09/2018

25-08-4-201809281708

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის #31 დადგენილების შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუში დანართი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23-ის შესაბამისად;

მუხლი 2.

ბეჭედზე ამოტვიფრულ იქნას:

ა) მუნიციპალიტეტის დასახელება;

ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება;

გ) მუნიციპალიტეტის გერბი;

დ) სექტორის აღმნიშვნელი ციფრი საჯარო რეესტრის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთა მიერ ბეჭდის გამოყენების წესი დანართი 24-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და გამგებლის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების

წესის დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის #35 დადგენილება.

მუხლი 5.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა